

ქალაქ ქუთაისში, ახალგაზრდობის გამზირი მე-8 შესახვევი N2 საცხოვრებელ სახლზე,
მოქალაქე მანანა ჭელიშვილისათვის საკუთრების უფლების მინიჭებისა და
მოწმობის გაცემის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მერიაში განხილული იქნა ახალგაზრდობის გამზირი მე-8 შესახვევი N2 საცხოვრებელ სახლში მცხოვრები მოქალაქე მანანა ჭელიშვილის განცხადება /2012 წლის 26.09 Nჭ-8198/, რითაც ითხოვს საცხოვრებელ სახლზე საკუთრების უფლების მოწმობის გაცემას.

წარმოდგენილი მასალების, „აღგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის 39-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, 65² მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი /იზოლირებული და არაიზოლირებული/ ფართობის აღგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის N73 ბრძანებულების თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქალაქ ქუთაისში, ახალგაზრდობის გამზირი მე-8 შესახვევი N2 საცხოვრებელ სახლზე, საკუთრების უფლება მიენიჭოს მოქალაქე მანანა ჭელიშვილს.

2. ქალაქ ქუთაისის მერიის საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახურმა /კ.ხვარეშია/, ქალაქ ქუთაისში, ახალგაზრდობის გამზირი მე-8 შესახვევი N2 საცხოვრებელ სახლზე /საერთო ფართობი 50,75 კვ.მ, რომელიც განთავსებულია 930 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე/ მოქალაქე მანანა ჭელიშვილის სახელზე გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა.

3. ბრძანების შესრულების კონკრული განახორციელოს ქ.ქუთაისის მერის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელმა კ.რაგიანმა.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქ.ქუთაისის საკრებულოსა /რუსთაველის გამზირი N3/ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრაძის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მერი

ბ.ბრეგაძე